

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ

ორგანიზებული ეროვნული შეჯიბრი

„სამოსამართლო ქცევა და დისციპლინა“

1. შეჯიბრის მიზანი და ზოგადი ინფორმაცია

- 1.1. ეროვნული შეჯიბრის „სამოსამართლო ქცევა და დისციპლინა“ (შემდგომში „შეჯიბრი“) მიზანია მოსამართლის მიმართ დისციპლინური საქმის წარმოების შესახებ ცნობიერების გაზრდა/ამაღლება და დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის პოპულარიზაცია;
- 1.2. შეჯიბრი წარმოადგენს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლის მიმართ არსებული საჩივრის განხილვის სიმულაციას;
- 1.3. შეჯიბრი ტარდება დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით;
- 1.4. შეჯიბრის ადმინისტრირებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური ნიშნავს შეჯიბრის ადმინისტრატორს (შემდგომში „ადმინისტრატორ“).

2. შეჯიბრის ზოგადი პრინციპები

- 2.1. შეჯიბრის შესახებ ინფორმაცია, წესები და ვადები განთავსდება დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ვებ-გვერდზე. შეჯიბრის შესახებ ინფორმაცია ელექტრონული და ბეჭდვითი სახით მიეწოდება უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტებს/სკოლებს;
- 2.2. შეჯიბრის ყველა მონაწილე თანახმაა, იმოქმედოს სამართლიანად, პროფესიულად და მიუკერძოებლად;
- 2.3. ნებისმიერი პირი, რომელიც დაარღვევს ამ პრინციპებს ან შეჯიბრის რომელიმე სხვა წესს, გამოეთიშება შეჯიბრს. აღნიშნულ ფაქტზე გადაწყვეტილებას იღებს შეჯიბრის ადმინისტრატორი;
- 2.4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლის მიმართ არსებული საჩივრის ზეპირი განხილვის ფორმა - სიმულაცია შემუშავდა სპეციალურად ამ შეჯიბრისთვის და რეგულირდება შეჯიბრის წესებით.

3. შეჯიბრის საქმე

- 3.1. შეჯიბრის საქმე წარმოადგენს დამოუკიდებელი ინსპექტორის და მისი თანამშრომლების მიერ, მოწვეული ექსპერტის/ების ჩართულობით, შემუშავებულ დოკუმენტს;
- 3.2. საქმის ფაქტობრივი გარემოებები მთლიანად გამოგონილია. შესაბამისად, გუნდს ეკრძალება ფაქტების გამოგონება ან/და დამატება, იმის მიღმა რაც საქმეშია მოცემული;
- 3.3. შეჯიბრის საქმის ფაქტობრივი გარემოებები დამატებითი განვითარება შესაძლებელია შეჯიბრის ნახევარფინალის ან/და ფინალის ეტაპზე, რაც გუნდებს ეცნობება ადმინისტრატორის მიერ განსაზღვრულ დროში. დამატებითი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ გუნდები მსჯელობენ მხოლოდ ზეპირ ეტაპზე;
- 3.4. გუნდს შეუძლია დაეყრდნოს სასამართლო სისტემის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაკეთებული ანგარიშებს/შეფასებებს, საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების და სახელმეკრულებო ორგანოების გადაწყვეტილებებს, დამოუკიდებელი ინსპექტორის წლიურს ანგარიშებს, და მსგავსი ტიპის სხვა დოკუმენტებს;

4. გუნდის შესახებ ინფორმაცია

- 4.1. შეჯიბრი ტარდება საქართველოს მასშტაბით და მასში მონაწილეობა შეუძლია საქართველოში აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული და

საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის/სკოლის მე-3 და მე-4 კურსის, ან/და მაგისტრატურის სტუდენტებისაგან დაკომპლექტებულ **3 წევრიან გუნდს**;

- 4.2. ერთი უმაღლესი სასწავლებლებიდან შეიძლება წარმოდგენილ იქნას არაუმეტეს 4 გუნდისა;
- 4.3. თუ ერთი უმაღლესი სასწავლებლებიდან წარმოდგენილი გუნდების რაოდენობა აღემატება ოთხს, ადმინისტრატორი უზრუნველყოფს ოთხი გუნდის შერჩევას ონლაინ-განაცხადის ფორმაში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე. დარჩენილი გუნდებისგან იქმნება სარეზერვო სია.

5. შეჯიბრში რეგისტრაცია და ეტაპები

- 5.1. შეჯიბრში რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონულად, ადმინისტრატორის მიერ შემუშავებული ონლაინ-განაცხადის შევსების გზით (იხილეთ დანართი 1);
- 5.2. ონლაინ-განაცხადის ფორმა მოიცავს გუნდის სამი წევრის შესახებ საკონტაქტო ინფორმაციას - გუნდის თითოეული წევრის მოკლე ბიოგრაფიას და საერთო მოტივაციის წერილს;
- 5.3. რეგისტრაციის შედეგად ადმინისტრატორის მიერ გუნდს ენიჭება ნომერი და შეჯიბრის მსვლელობისას ისინი წარსდგებიან მათთვის მინიჭებული ნომრით. გუნდის მიერ უმაღლეს სასწავლებელთან მაიდენტიფიცირებელი საშუალების გამოყენება აკრძალულია;
- 5.4. ადმინისტრატორის მიერ გამოიცემა შეჯიბრის კალენდარი, რომელშიც მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:
 - a. საქმის და მასალების გამოცემის თარიღი;
 - b. საინფორმაციო შეხვედრის თარიღი;
 - c. ტრენინგის თარიღი;
 - d. წერილობითი მოსაზრებების წარდგენის ვადა;
 - e. ზეპირი მოსმენის/სიმულაციის თარიღები.
- 5.5. რეგისტრაციის შემდგომ, გუნდებისთვის ტარდება საინფორმაციო შეხვედრა და ტრენინგი რელევანტურ სამართლებრივ საკითხებზე, რომლის მიზანია გუნდებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, შეჯიბრის და იმიტირებული საქმის ირგვლივ შეკითხვების დასმა და სათანადო ცოდნის/ინფორმაციის მიღება;
- 5.6. შეჯიბრი მოიცავს ორ ეტაპს:
 - a. წერილობითი მოსაზრებების წარდგენის ეტაპი;
 - b. ზეპირი მოსმენის/სიმულაციის ეტაპი;
- 5.7. წერილობითი მოსაზრებების წარდგენის ეტაპი მოიცავს გუნდის მიერ საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით მომზადებულ **საჩივარს** (შემდგომში „განმცხადებელი“) და **მოსამართლის პოზიციას** (შემდგომში „მოპასუხე“).
- 5.8. ზეპირი მოსმენა/სიმულაცია მოიცავს დამოუკიდებელი ინსპექტორის და დამოუკიდებელი ინსპექტორის ორი წარმომადგენლის მიერ დავის განხილვას ორ მხარეს შორის:
 - a. განმცხადებელს წარმოადგენს საჩივრის ავტორი და მისი ორი წარმომადგენელი;
 - b. მოპასუხეს წარმოადგენს მოსამართლე და მისი ორი წარმომადგენელი;

6. წერილობითი მოსაზრებების წარდგენის ეტაპი

- 6.1. გუნდი შეჯიბრის კალენდარში გათვალისწინებული ვადების დაცვით ამზადებს განმცხადებლის და მოპასუხის პოზიციას წერილობითი ფორმით და უგზავნის შეჯიბრის ადმინისტრატორს (Microsoft Word-ის ფორმატში);
- 6.2. განმცხადებლის და მოპასუხის წერილობითი მოსაზრება იწერება ცალ-ცალკე დოკუმენტში და მოიცავს:
 - a. თავფურცელს;
 - b. მხარის სამართლებრივი შეფასებას;
 - c. გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს.
- 6.3. მხარის სამართლებრივი შეფასება წარმოადგენს საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების - შესაძლო დისციპლინური გადაცდომის შეფასებას განმცხადებლის და მოპასუხის პოზიციიდან გამომდინარე საქართველოს კანონმდებლობის, დამოუკიდებელი ინსპექტორის პრაქტიკის, საერთაშორისო სტანდარტების და შესაბამისი გადაწყვეტილებების გათვალისწინებით;

- 6.4. ყოველი მხარის (განმცხადებელი ან/და მოპასუხე) სამართლებრივი შეფასების ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს 1,300 სიტყვას (სქოლიოს ჩათვლით);
- 6.5. წერილობითი მოსაზრების მომზადებისას გუნდებს მოეთხოვებათ გამოყენებული მასალების/ლიტერატურის სქოლიოში მითითება.
- 6.6. რეკომენდირებულია სამართლებრივ შეფასებაში :
 - a. საკითხების და ქვესაკითხების გამოყოფა;
 - b. შესაბამისი სამართლებრივი სტანდარტის მოკლედ აღწერა;
 - c. საქმეში არსებული ფაქტების მისადაგება სამართლებრივ სტანდარტთან - ე.წ. სამართლებრივი ანალიზი;
 - d. პოზიციის შესაბამისი დასკვნის გაკეთება;

მხარის წერილობითი პოზიციის შემადგენელი ელემენტები (მზადდება როგორც განმცხადებელი ასევე მოპასუხე მხარისთვის)	
თავფურცელი	გუნდის ნომერი, მხარე: განმცხადებელი თუ მოპასუხე, დავის დასახელება
სამართლებრივი შეფასება	საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე განმცხადებლის საჩივარი, მოპასუხის პოზიცია შესაძლო დისციპლინური გადაცდომის/ების შესახებ.
გამოყენებული ლიტერატურა	გუნდის მიერ გამოყენებული მასალის და ლიტერატურის ჩამონათვალი: კანონები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, დებულებები, გადაწყვეტილებები/case-law, სახელმძღვანელო პრინციპები, საკონსულტაციო დასკვნები და ა.შ.

7. ზეპირი მოსმენის ეტაპი/სიმულაცია

- 7.1. თუ შეჯიბრში მონაწილე გუნდების რაოდენობა აღწევს 12, ზეპირი სიმულაცია მოიცავს სამ ეტაპს (შესარჩევი რაუნდები, ნახევარ-ფინალი და ფინალი). წინააღმდეგ შემთხვევაში ზეპირი სიმულაცია მოიცავს ორ ეტაპს (შესარჩევი რაუნდები და ფინალი);
- 7.2. ყოველი გუნდი თამაშობს არანაკლებ ორ შესარჩევ რაუნდს - ერთხელ განმცხადებლის პოზიციას და ერთხელ მოპასუხის პოზიციას;
- 7.3. ნახევარ-ფინალში გასული გუნდი თამაშობს განმცხადებლის ან მოპასუხის პოზიციას; შესარჩევ რაუნდებში, ნახევარ-ფინალში და ფინალში გუნდების პოზიციების გადანაწილება ხდება ადმინისტრატორის მიერ ფარული კენჭისყრის საფუძველზე;
- 7.4. შესარჩევი რაუნდების ფარული კენჭისყრის შედეგები გუნდებისთვის ცნობილი ხდება თამაშამდე არაუგვიანეს 48 საათით ადრე. ადმინისტრატორი გუნდებს უგზავნის მათი წერილობითი მოსაზრების შეფასებებს, თამაშების განრიგს და მოწინააღმდეგე გუნდების წერილობით მოსაზრებებს;
- 7.5. ზეპირი სიმულაციის ფარგლებში შემფასებლები/მსაჯები თამაშობენ დამოუკიდებელი ინსპექტორის და დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ორ წარმომადგენლისგან შემდგარ სამ წევრიან **პანელს**, რომელიც ზეპირი მოსმენით განიხილავს საჩივარს;
- 7.6. ზეპირი სიმულაცია გრძელდება არა უმეტეს 60 წუთისა:
 - a. განმცხადებელს და მოპასუხეს - ორივეს თანაბრად ეძლევა 25-25 წუთი თავისი პოზიციების წარმოსადგენად;
 - b. გუნდისთვის განკუთვნილი 25 წუთი მოიცავს როგორც მხარის მიერ არსებითი პოზიციის წარმოდენას, ასევე დასკვნით სიტყვას, რომელიც არ შეიძლება იყოს 5 წუთზე მეტი;
 - c. გუნდის მიერ ნებისმიერი მხარის წარმოდგენისას სავალდებულოა გუნდის არანაკლებ 2 წევრის მონაწილეობა;
 - d. ზეპირი მოსმენის მიმდევრობა: 1. განმცხადებლის პოზიციის წარდგენა; 2. მოპასუხის პოზიციის წარდგენა; 3. განმცხადებლის დასკვნითი სიტყვა; და 4. მოპასუხის დასკვნითი სიტყვა;
 - e. განმცხადებელი დასკვნით სიტყვაში ყურადღებას ამახვილებს (აბათილებს) მოპასუხის მიერ პოზიციის წარდგენისას წამოწეულ არგუმენტებზე/საკითხებზე, ხოლო მოპასუხე დასკვნითი სიტყვაში რეაგირებს (აბათილებს) განმცხადებლის მიერ დასკვნით სიტყვაში წამოწეულ არგუმენტებზე;

- 7.7. ზეპირი სიმულაციის ნებისმიერ ეტაპზე შემფასებლებს/მსაჯებს უფლება აქვთ დასვან შეკითხვები. ერთ-ერთი შემფასებელი/მსაჯი ახორციელებს გუნდის დროის ათვლას. შემფასებელს/მსაჯს უფლება აქვს გუნდს დაუმატოს არაუმეტეს 3 წუთისა, რის შემთხვევაშიც მეორე გუნდსაც ავტომატურად ეძლევა დამატებითი 3 წუთი;
- 7.8. ზეპირი მოსმენის დროს გუნდებს ეკრძალებათ ინტერნეტის გამოყენება;
- 7.9. ზეპირ მოსმენაზე გუნდის მხარდამჭერების დამსწრეთა სია ეგზავნება ადმინისტრატორს მის მიერ განსაზღვრულ ვადაში. კოვიდ-19 ვირუსით გამოწვეული შეზღუდვების გამო, თითო გუნდს შეუძლია არაუმეტეს 6 ადამიანის დამსწრეთა სიის წარმოდგენა.

პანელი: დამოუკიდებელი ინსპექტორი და დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ორი წარმომადგენელი	
განმცხადებელი: საჩივრის ავტორი და მისი ორი წარმომადგენელი	მოპასუხე: მოსამართლე და მისი ორი წარმომადგენელი
1. საჩივრის ავტორის პოზიციის წარდგენა (20 წუთი): <ul style="list-style-type: none"> ○ გამომსვლელი A ○ გამომსვლელი B 	2. მოსამართლის პოზიციის წარდგენა (20 წუთი): <ul style="list-style-type: none"> ○ გამომსვლელი A ○ გამომსვლელი B
3. დასკვნითი სიტყვა (5 წუთი): <ul style="list-style-type: none"> ○ გამომსვლელი A ან გამომსვლელი B 	4. დასკვნითი სიტყვა (5 წუთი): <ul style="list-style-type: none"> ○ გამომსვლელი A ან გამომსვლელი B

8. Ex parte პროცედურა

- 8.1. გუნდის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ადმინისტრატორი 30 წუთიანი ლოდინის შემდგომ, იღებს გადაწყვეტილებას ზეპირი სიმულაციის ჩატარების შესახებ. დარჩენილი გუნდი თამაშობს თავის მხარეს და შემფასებლები/მსაჯები აფასებენ ჩვეულებრივი წესით;
- 8.2. გუნდი რომელიც, არ გამოცხადდება თამაშზე უნუღდება აღნიშნული ზეპირი სიმულაციის ქულები;
- 8.3. გუნდს ჩაეთვლება გამოუცხადებლობა, თუ მხოლოდ ერთი წევრი გამოცხადდა ზეპირ სიმულაციაზე;
- 8.4. ობიექტური მიზეზების გამო გუნდის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დამატებითი სიმულაციის ჩანიშნვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ადმინისტრატორი. ასეთ შემთხვევაში გუნდი თამაშობს შესაბამის მხარეს და ფასდება თავიდან.

9. წერილობითი და ზეპირი ეტაპების შეფასება - ქულების სისტემა

- 9.1. გუნდების შეფასება შედგება წერილობითი და ზეპირი ეტაპის შეფასების საერთო ჯამიდან;
- 9.2. გუნდის თითო მხარის წერილობითი მოსაზრება ფასდება 50-100 ქულით. წერილობითი მოსაზრების შეფასებისას ყურადღება ეთმობა სამართლებრივი საკითხების/პრობლემის და მხარისთვის მნიშვნელოვანი ფაქტების იდენტიფიცირებას, სამართლებრივი ანალიზის უნარს - პოზიციის და არგუმენტების ჩამოყალიბებას (იხილეთ დანართი 2);
- 9.3. ზეპირ სიმულაციაზე გუნდის ყოველი გამომსვლელი ფასდება 50-100 ქულით პანელის სამივე შემფასებლის/მსაჯის მიერ. გამომსვლელის შეფასებისას ყურადღება ეთმობა როგორც სამართლებრივი ანალიზს და ლოგიკური აზროვნებას, ასევე კითხვებზე პასუხის გაცემის და ზეპირი პრეზენტაციის უნარებს (იხილეთ დანართი 3);
- 9.4. შეჯიბრის დამთავრებისთანავე გუნდებს ეგზავნებათ მათი თამაშების საერთო შეფასებები - ორივე მოთამაშე გუნდის წერილობითი და ზეპირი ეტაპის დაჯამებული ქულები.

შესარჩევი რაუნდების და ნახევარ-ფინალის შეფასების სისტემა				
ზეპირი		წერილობითი	ჯამი	
პანელი	განმცხადებელი			
მსაჯი 1	გამომსვლელი 1: 50-100	150-300	50-100	350 - 700
	გამომსვლელი 2: 50 - 100	150-300		
	300-600			
მსაჯი 2	მოპასუხე			
მსაჯი 3	გამომსვლელი 1: 50-100	150-300	50-100	350 - 700
	გამომსვლელი 2: 50-100	150-300		
	300-600			

10. შემფასებლები/მსაჯები

- 10.1. წერილობით პოზიციების შეფასებას ახორციელებენ ადმინისტრატორის მიერ შერჩეული დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის თანამშრომლები;
- 10.2. ზეპირი მოსმენის შემფასებლებს/მსაჯებს წარმოადენენ დამოუკიდებელი ინსპექტორი, დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამშრომლები და მოწვეული ექსპერტები. მოწვეული ექსპერტები არიან სამართლის სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ სათანადო პროფესიული გამოცდილება;
- 10.3. ინტერესთა კონფლიქტს შემთხვევის შესახებ შემფასებელმა/მსაჯმა უნდა განაცხადოს ზეპირი მოსმენის დაწყებამდე, რის შემდეგაც ის ეთიშება სიმულაციას და ჩანაცვლდება რეზერვი შემფასებლის/მსაჯის მიერ;
- 10.4. შეჯიბრის მიზნებისთვის, ინტერესთა კონფლიქტი განიმარტება, როგორც შემფასებელს/მსაჯსა და გუნდის წევრს/მწვრთნელს შორის არსებული კავშირი, რამაც ობიექტური დამკვირვებლის თვალში შეიძლება გააჩინოს ეჭვები შემფასებლის/მსაჯის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით (მაგალითად, ნათესაური კავშირი, ახლო მეგობრული კავშირი, შეჯიბრის პერიოდში უშუალოდ ასწავლის გუნდის წევრს და ა.შ.);
- 10.5. ინტერესთა კონფლიქტად არ ჩაითვლება, თუ შემფასებელი/მსაჯი ასწავლის იმავე უნივერსიტეტში, უმსაჯია გუნდის წევრისთვის სხვა შეჯიბრზე, პროფესიიდან გამომდინარე იცნობს მწვრთნელს და ა.შ.;
- 10.6. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა რეზერვი შემფასებლის/მსაჯის გამოყენება, ზეპირი მოსმენა წარმართება ორი შემფასებლის/მსაჯის მიერ, ხოლო მათ ზეპირი შეფასების - ქულის საშუალო მაჩვენებელი ჩაითვლება მესამე შემფასებლის/მსაჯის შეფასებად;
- 10.7. წერილობითი მოსაზრებების გასწორებისას და ზეპირი მოსმენისას შემფასებლები/მსაჯები ხელმძღვანელობენ საქმის ავტორის/ავტორების მიერ საქმის ირგვლივ მომზადებული მსაჯების მემორანდუმით, რაც უზრუნველყოფს გუნდების მიმართ თანმიმდევრულ და თანაბარ მიდგომას.

11. გუნდის მწვრთნელი

- 11.1. გუნდს შეიძლება ჰყავდეს მწვრთნელი ან/და მწვრთნელები;
- 11.2. გუნდის მწვრთნელი არ შეიძლება იყოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მოქმედი თანამშრომელი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, დისციპლინური კოლეგიის და პალატის ყოფილი ან მოქმედი წევრები, ან/და მოქმედი მოსამართლე;
- 11.3. გუნდის მწვრთნელს/ებს შეუძლია გუნდს გაუწიოს/იონ ზოგადი კონსულტაცია, როგორც წერილობითი მოსაზრების მომზადების ისე ზეპირი მოსმენის/სიმულაციის ეტაპზე. მას/მათ არ აქვს/თ უფლება გუნდის მაგიერ მოამზადოს წერილობითი მოსაზრება/ები ან/და უშუალო მონაწილეობა მიიღოს ზეპირ მოსმენაში/სიმულაციაში;

12. დაჯილდოება და საპრიზო ფონდი

- 12.1. შეჯიბრში გათვალისწინებულია შემდეგი ნომინაციები:
 - a. ფინალში გამარჯვებული გუნდი;
 - b. ფინალისტი გუნდი;
 - c. საუკეთესო განმცხადებელი მხარის სპიკერი;
 - d. საუკეთესო მოპასუხე მხარის სპიკერი;

- e. საუკეთესო განმცხადებელი მხარის წერილობითი მოსაზრება;
 - f. საუკეთესო მოპასუხე მხარის წერილობითი მოსაზრება;
- 12.2. ფინალში გამარჯვებული გუნდისათვის გათვალისწინებულია:
- a. გამარჯვებულის თასი;
 - b. სტაჟირება;
 - c. სასწავლო ვიზიტის ორგანიზება ევროპის საბჭოში დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერით;¹
- 12.3. ფინალისტი გუნდისათვის გათვალისწინებულია:
- a. ფინალისტის სერტიფიკატი;
- 12.4. საუკეთესო სპიკერებისთვის და წერილობითი მოსაზრებებისთვის გათვალისწინებულია შესაბამისი თასები;
- 12.5. შეჯიბრის ყველა მონაწილისთვის გათვალისწინებულია სერტიფიკატი.

13. შეჯიბრთან დაკავშირებული შეკითხვები და საჩივარი

- 13.1. შეჯიბრის ნებისმიერ ეტაპზე გუნდებს შეუძლიათ ადმინისტრატორისაგან მოითხოვონ განმარტება შეჯიბრთან ან საქმესთან დაკავშირებით. ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში ადმინისტრატორი შეიმუშავებს პასუხს და ყველა მონაწილეს მიაწვდის საჭირო ინფორმაციას ან/და განმარტებას;
- 13.2. შეჯიბრთან დაკავშირებით არსებულ საჩივრის შემთხვევაში გუნდი დაუყოვნებლივ მიმართავს ადმინისტრატორს. ზეპირი მოსმენის მსვლელობისას - აღნიშნული ხორციელდება სიმულაციის დამთავრებისთანავე. ადმინისტრატორი განიხილავს საჩივარს და ყველა დაინტერესებულ მხარეს აცნობებს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

14. კოვიდ-19 ვირუსის გამოწვეული ცვლილებები

- 14.1. საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, COVID-19 გამოწვეული დამატებითი შეზღუდვების დაწესების შემთხვევაში, აგრეთვე შეჯიბრში მონაწილე ყველა პირის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, შეჯიბრმა შეიძლება გადაინაცვლოს ონლაინ სივრცეში;
- 14.2. აღნიშნული ცვლილებების შესახებ გუნდებს ეცნობებათ ადმინისტრატორის მიერ ნებისმიერი ღონისძიების ჩატარებამდე არაუგვიანეს 48 საათისა.

¹ სასწავლო ვიზიტის განხორციელება დამოკიდებულია კოვიდ-19 ვირუსით გამოწვეულ შეზღუდვებზე, როგორც საქართველოში ასევე დანიშნულების ქვეყანაში.